მაია ნადარეიშვილი
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
კრიმინოლოგიის აკადემიკოსი (სკმა),
საერთაშორისო ჟურნალისტიკის დოქტორი (თსუ),
ბრამსის ინსტიტუტის დამფუძნებელი დირექტორი

ქართული კინოკრიტიკის „დამფუძნებელი მამები“ ცენზურისა და კინოსამართლის პირისპირ (ამერიკულ-ქართული რეალობა)

საკვანძო სიტყვები: სინემატოგრაფი, კინოკრიტიკა, კინოცენზურა, კინოსამართალი, კინოს ისტორია, საქართველო, აშშ

ტრადიციულად, საქართველო ყოველთვის დროულად ითვისებდა მსოფლიო პროგრესს და კინემატოგრაფის შემთხვევაშიც, ზუსტად ასე მოხდა. მე-19 საუკუნის მიწურულს, როდესაც მსოფლიო კინო დაიბადა, ჩვენი ქვეყანა სრულიად კონტროლდებოდა ჩრდილოელი მეზობლის მიერ და უმკაცრესი ცენზურა ცხოვრების ყველა სფეროში იყო ფეხმოკიდებული. იმის მიუხედავად, რომ რუსეთის იმპერიის 65-წლიანი (1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-ის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებიდან 1867 წლის 4 იანვარს ალექსანდრე II-ის ბრძანებულებით სამეგრელოს სამთავროს გაუქმებამდე) დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ წარმოებული ნახევარსაუკუნოვანი ფიზიკურად გამანადგურებელი და მორალურად დამამცრობელი შედეგი დამდგარიყო, ქართული საზოგადოების პროგრესული ნაწილი მაქსიმალურად ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა დასავლეთევროპულ კულტურულ ცხოვრებას.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

კლოდ-ანტუან ლუმიერის მიერ კაპუცინების ბულვარზე „გრან კაფეში“ გამართული პრემიერიდან ერთი წელიც არ იყო გასული, როდესაც 1896 წლის 16 ნოემბერს სათავადაზნაურო თეატრში ძმები ლუმიერების ფილმები უჩვენეს თბილისის ელიტას.[1] აქედან მოყოლებული, ქართულ პრესაში თანდათანობით იმატა პუბლიკაციებმა კინემატოგრაფის თემაზე. ძირითადად, იბეჭდებოდა ქრონიკები, საინფორმაციო შენიშვნები, რეცენზიები და ანალიტური სტატიები. ქართული კინოკრიტიკის საწყის ეტაპზევე დაიწყო თეორიული კინოკვლევებიც,[2] რამაც დიდად განსაზღვრა ქართული კინოს ღირსეული მომავალი – ქართული კინოსკოლის დაფუძნება, სადაც მსოფლიო დონის კინომოღვაწენი აღიზარდნენ. მნიშვნელოვანი ფილმები შექმნეს სასტიკი საბჭოთა ცენზურისა და კინოხელოვნებაში ყველანაირი ორიგინალური აზროვნების, შემოქმედებითი თავისუფლების დევნის მიუხედავად. ქართველმა რეჟისორებმა მსოფლიო სინემატოგრაფს შემატეს 800-მდე სრულმეტრაჟიანი მხატვრული, სატელევიზიო და მოკლემეტრაჟიანი, 600-მდე დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული, 500-მდე ანიმაციური და თოჯინური ფილმი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში კინემატოგრაფის თემაზე პუბლიკაციების სიუხვით გამოირჩეოდა მწერლისა და დრამატურგის, იოსებ იმედაშვილის მიერ 1910 წლის 2 იანვარს დაარსებული პირველი ქართული პროფესიული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც ჯერ ახალი ფილმების თაობაზე აანონსებდა, მოგვიანებით კი სხვადასხვა ჟანრის პუბლიკაციას სისტემატურად აქვეყნებდა კინოს შესახებ. სახელწოდების მიუხედავად, ეს პერიოდული გამოცემა ხელოვნების, თითქმის, ყველა დარგის (დრამატული და საოპერო თეატრი, ლიტერატურა, კინოხელოვნება, სხვ.)

BRAMS Journal No. 9 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

შესახებ აქვეყნებდა მასალებს. ჟურნალის მიზანი საპროგრამო წერილში ასე განისაზღვრა: „ხელოვნებას სამშობლო არა აქვს, მთელი ქვეყანაა მისი აკვანი, ყველასათვის ერთია და ყოველთა შემაკავშირებელი... ამიტომ ჩვენი ჟურნალის მიზანიც იქნება საერთოდ ადამიანთა საკეთილდღეოდ მუშაობა: ჭეშმარიტების გაშუქება და უკეთურების დათრგუნვა“.[3]

პირველი სოლიდური სტატია კინემატოგრაფის თემაზე თავად რედაქტორს, იოსებ იმედაშვილს ეკუთვნოდა. შესაბამისად, ქართული კინოკრიტიკის ისტორია სწორედ მისი 1915 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაციით იწყება. 19 წელი გასულიყო საქართველოში პირველი კინოსეანსის ჩატარებიდან.

იოსებ იმედაშვილმა (1876-1952) ხელოვნების ამ ახალი დარგის პოტენციალი თავიდანვე კარგად დაინახა. ამიტომ სარედაქციო სტატიებით ცდილობდა სკეპტიკურად განწყობილი მისი თანამედროვე საზოგადოების აზრის პროგრესისკენ წარმართვას. იოსების ედიტორიალები[4] კატეგორიულად უპირისპირდებოდა გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კინო მხოლოდ ტექნიკური გამოგონება იყო. რედაქტორ-გამომცემელი ქართული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას განვითარებული მსოფლიოს მაგალითით ცდილობდა: „სინემატოგრაფ-კინემატოგრაფმა მთელი მოწინავე კაცობრიობის სული დაიფლო და ხელოვნების ასპარეზზე თვალსაჩინო ადგილიც დაიჭირა“.[5] იოსებ იმედაშვილს სურდა, კინო ხელოვნების ერთ-ერთ დარგად ეღიარებინათ მის გარშემო მყოფებს.

ჟურნალის რედაქტორი საოცრად პროგრესულ და შორსმჭვრეტელ მოაზროვნედ წარმოჩნდება საკუთარი პუბლიკაციებიდან. ანალიტურ სტატიაში „მოლაპარაკე კინო-ფილმა და თეატრის ბედი“, იოსებ იმედაშვილი წერდა: „კინო გადაიქცა ყველაზე უფრო გავრცელებულ

BRAMS Journal No. 9 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

სანახაობათ და თეატრს თანდათან აცლის პოზიციას პოზიციაზე. რაღა იქნება ხვალ, როდესაც ახმაურდება კინოს დარბაზი და ეკრანიდან გაისმის მსახიობის მკვეთრი ხმა და დამატკბობელი სიმღერა?“.[6] ქართველი ჟურნალისტი ამას წერდა სამი წლით ადრე მსოფლიოში პირველი ხმოვანი ფილმის, რეჟისორ ალან კროსლენდის „ჯაზის მომღერლის“[7] გამოსვლამდე.

ქართული მუნჯი კინოს შესახებ მნიშვნელოვანი და უხვი მასალის დაბეჭდვით, ჟურნალმა უდიდესი დახმარება გაუწია ქართული კინოს პირველი ნაბიჯების თანამედროვე მკვლევრებს, რომლებმაც კინოისტორიის შესწავლის მცდელობისას უნიკალური ინფორმაციის აღდგენა შეძლეს და ჩვენი კინოწარსულის რეალური სურათი წარმოაჩინეს სწორედ „თეატრი და ცხოვრების“ პუბლიკაციებზე დაყრდნობით.

ისტორიული ღირებულებების მქონე ძველი პუბლიკაციების გარდა, ჟურნალის სახელს უკავშირდება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც. „თეატრსა და ცხოვრებაში“ კაიუს პელის ფსევდონიმით წერდა დამაარსებლის ვაჟი, გაიოზ იმედაშვილი (1906-1995), რომელიც მოგვიანებით პროფესიონალი კინოკრიტიკოსი გახდა. მართალია, მამამისს უდიდესი წვლილი მიუძღვის კინოს პოპულარიზაციაში და, გარკვეულწილად, სწორედ მისმა ჟურნალისტურმა საქმიანობამ მისცა ბიძგი გაიოზის უკომპრომისო კინოკრიტიკოსის პროფესიულ მოღვაწეობასაც,[8] მაგრამ ზოგიერთი ქართველი კინომკვლევარი იოსებს მაინც არ თვლის პირველ ქართველ პროფესიონალ კინოკრიტიკოსად იმ საბაბით, რომ იოსებ იმედაშვილისთვის კინო არ იყო მისი ძირითადი სპეციალობა. დღევანდელი ინტერდისციპლინური სამეცნიერო სამყაროს გადმოსახედიდან, წინა საუკუნისეული დამოკიდებულება ქართული კინოკრიტიკის მამამთავრისადმი

BRAMS Journal No. 9 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

აბსოლუტურად მიუღებელი მგონია, რადგან მის ფასდაუდებელ ღვაწლს უსამართლოდ აკნინებს. ეს მამა-შვილი კარლო გოგოძესთან (1909-1977) ერთად, ქართული კინოკრიტიკის „დამფუძნებელი მამები“ არიან და სამართლიანობა მოითხოვს ამ სამი ადამიანის დამსახურების ოფიციალურად ისე აღიარებას, არცერთ მათგანს არ მიადგეს ჩრდილი. უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი წლის განმავლობაში კარლო გოგოძე ერთპიროვნულად ითვლებოდა პირველ ქართველ კინოკრიტიკოსად, იოსებ და გაიოზ იმედაშვილების პუბლიკაციათა არსებობის მიუხედავად.

გიორგი რაზმაძის 2018 წლის სამეცნიერო გამოკვლევის თანახმად, ისტორიული შეუსაბამობა გადასინჯვას საჭიროებს. რაზმაძემ გამოიკვლია და დაადგინა კაიუს პელის ვინაობა სხვადასხვა წყაროზე (მათ შორის, გალაკტიონის[9] პირად ჩანაწერებსა და იოსებ გრიშაშვილის[10] „ფსევდონიმების ლექსიკონზე“) დაყრდნობით. რადგან ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ძველ ნომრებს შემოუნახავთ კაიუს პელის კინოკრიტიკული პუბლიკაციები, ხოლო რამდენიმე დამოუკიდებელი წყარო ადასტურებს ამ ფსევდონიმის ქვეშ გაიოზ იმედაშვილის ავტორობას, სრულიად მისაღები უნდა იყოს ჩვენს ეროვნულ კინოისტორიაში დაშვებული შეცდომის გამოსწორება და სიმართლის ერთგულებისთვის, ანტიბოლშევიკური შეხედულებებისთვის 1924 წელს მცირე ხნით საბჭოთა ციხეში მოხვედრილი[11] კინოკრიტიკოსის ღვაწლის დამსახურებული დადასტურება. პიროვნული სითამამე და პროფესიული უკომპრომისობა ნათლადაა ასახული კაიუს პელის როგორც ნაშრომებსა და პუბლიკაციებში, ისე – მის ბიოგრაფიაში. შესაბამისად, მამა-შვილი იოსებ და გაიოზ იმედაშვილები გაცილებით მეტ აღიარებასა და დაფასებას იმსახურებენ როგორც ქართული

BRAMS Journal No. 9 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

საზოგადოების მხრიდან, ისე სამეცნიერო წრის წარმომადგენელთაგან, მათი ნაყოფიერი მოღვაწეობიდან გამომდინარე ქართულ კინოკრიტიკასა და კინომედიაში.

ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება“ რთული გზა გაიარა. არსებობის პირველ წლებში მისი გამოცემა ბევრჯერ შეჩერდა. მერეც არაერთი პრობლემის გადალახვა მოუხდა. 2017 წელს მას სახელი გადაერქვა და „თეატრი“ ეწოდა. ვფიქრობ, მრავალტანჯული და საბჭოთა ცენზურასგადარჩენილი, საუკუნოვანი ისტორიის მქონე ამ ქართული პერიოდული გამოცემის დამაარსებლისა და პირველი რედაქტორის, იოსებ იმედაშვილის ნათელი ხსოვნის პატივსაცემად, უმჯობესი იქნებოდა მისი ფუძემდებლის მიერ ბრძნულად შერჩეული სახელწოდება შეენარჩუნებინა. ჯერ ერთი, დაიკარგა სახელწოდებაში გამიზნულად ჩადებული პუბლიცისტური გააზრება. მეორეც, სწორედ „ცხოვრებამ“ მისცა მას საშუალება, თეატრის გარდა მრავალ სხვა მნიშვნელოვან თემასაც შეხებოდა. რეალურად, 21-ე საუკუნეში, დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში ჩამოერთვა მეოთხე ხელისუფლებისთვის დემოკრატიის პირობებში ბუნებრივად დაკანონებული უფლებები საუკუნოვან ჟურნალს, არსებობისთვის ბრძოლით რომ მოვიდა დღემდე. ეს საკითხიც მოსაგვარებელი მგონია.

მხოლოდ ამ ქართულმა ჟურნალმა შემოგვინახა კოტე მარჯანიშვილის პირველი ფილმის „ქარიშხლის წინ“ (1924) შესახებ სანდო ინფორმაცია თავის ფურცლებზე გამოქვეყნებულ კორესპონდენციებსა და რეცენზიებში. ფილმი დაკარგულია და რადგან მას ჩვენამდე არ მოუღწევია, მისი არსებობაც არ გვეცოდინებოდა, რომ არა „თეატრი და ცხოვრების“ ჟურნალისტები. იოსებ იმედაშვილი წერდა: „როგორც გადმოგვცეს, სურათი ფრიად საინტერესოა შინაარსით და ასრულებით – ტეხნიკურად. მშვენივრად

BRAMS Journal No. 9 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

დასურათებულია“.[12] კოტე მარჯანიშვილის პირველი ფილმის სარეკლამო კამპანიას აგვირგვინებს გამომცემელ-რედაქტორის ვრცელი რეცენზია, რომელშიც ოსტატურადაა გადმოცემული და ახსნილი იმ ეპოქის ტენდენცია ხელოვნებაში კოლექტიური გმირის შემოყვანასთან დაკავშირებით: „განკერძოებულ პიროვნებათ, თითოეულ გმირს ნუ ეძებთ... აქ გმირი ხალხის მთლიანი ნებისყოფაა, სულისკვეთება, ხოლო თითოეული პიროვნება ამ სულისკვეთების გამომხატველი“.[13]

კინოკრიტიკოსი შვილი ტოლს არ უდებდა მამას. კაიუს პელი, იგივე გაიოზ იმედაშვილი, კინოხელოვნების არა მხოლოდ ღრმა, ანალიტურ ანალიზს სთავაზობდა ქართველ მკითხველს, არამედ მისი თეორიული კვლევები კინოს თაობაზე სრულიად თავისუფალი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის მოსაზრებებისა და საბჭოთა იდეოლოგიის ზეგავლენისგან (რაც მალე სავალდებულო გახდა რამდენიმე ათეული წელიწადის განმავლობაში). 1930-იან წლებში „რკინის ფარდის“ ჩამოშვებამდე, გაიოზი თავისუფლად წერდა დასავლურ კინოსკოლაზე, განიხილავდა ჩარლი ჩაპლინის კინოიდეოლოგიასა და სამსახიობო ოსტატობის ნიუანსებს. მისი, ლამის, საუკუნის წინანდელი პუბლიკაციები აზროვნებისა და ლექსიკის ისეთ სილაღეს შეიცავს, როგორიც მხოლოდ 1990-იანი წლებიდან დაუბრუნდა ქართულ პრესას.

საქართველოში კინოცენზურას წინ უსწრებდა ქართული პრესისა და თეატრის საქმიანობის კონტროლი რუსეთის ცარისტული რეჟიმის წარმომადგენლების მხრიდან. პირველი ქართული გაზეთის თითოეული ნომერი რუსულად იწერებოდა და ცენზურის კონტროლის წარმატებით გავლის შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად, რაც მძიმე დაღს ასვამდა პირველი ქართული ნაბეჭდი პერიოდული გამოცემის ენასა და სტილს.[14]

BRAMS Journal No. 9 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

1880-იან წლებში კავკასიის საცენზურო კომიტეტში შეიქმნა სპეციალური – დრამატული ცენზურის განყოფილება. მისი წევრების ნებართვის გარეშე, ვერც რეპეტიციები ჩატარდებოდა, ვერც თეატრალური აფიშები გაიკვრებოდა და ვერც წარმოდგენები გაიმართებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უმაღლესი საცენზურო კომიტეტის საგანგებო ბრძანების თანახმად, თითოეული სპექტაკლის გასამართად შეკრების ნებართვა ადგილობრივ პოლიციაში უნდა აეღოთ წრეებსა თუ დასებს; დაუშვებელი იყო დრამატული ცენზურისგან ნებადაურთველი სპექტაკლების დადგმა კლუბებისა და წრეების სცენებზე; რეპეტიციებს უნდა დასწრებოდნენ ცენზურის კომიტეტისა და პოლიციის საგანგებო წარმომადგენლები; აკრძალული იყო წარმოდგენის მსვლელობისას სპექტაკლის შინაარსის შეცვლა. სცენაზე მხატვრული ნაწარმოებების წაკითხვის თუ სხვა მსგავსი ლიტერატურული საღამოების გამართვისათვის ცენზურის კომიტეტისა და კავკასიის სასწავლო ოლქის ნებართვის აღება სავალდებულო იყო. ასეთ რელობაში შემოაბიჯა სინემატოგრაფმა თბილისისა და ქუთაისის ორ გუბერნიად დაყოფილ, რუსეთის მოხელეთა მიერ კონტროლირებად „ტერიტორიაზე“, სადაც მაცხოვრებლების ნაწილს ქართველობა, ქართული საქმის მსახურება და საქართველოს ღირსეულ შვილად მოღვაწეობა სიცოცხლეზე მეტად უღირდა.

ქართულ კინოისტორიაში თავდაპირველი ცენზურა საკმაოდ ზოგადი ხასიათის იყო და შინაარსს, ფაქტობრივად, საერთოდ არ ეხებოდა. მისი მიზანი კინოჩვენებების რეგლამენტირებასა და პროტოკოლს მოიცავდა. ამის დასტურია 1909 წლის 6 ივლისის ცირკულარი, რომელიც ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ დაამტკიცა: „სინემატოგრაფიული სეანსებისთვის განკუთვნილ შენობაში ეკრანზე სურათის

BRAMS Journal No. 9 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

დემონსტრირებასთან ერთად ყოველად დაუშვებელია ე.წ. ცოცხალი ნომრები, ანუ მომღერალთა, მოცეკვავეთა, ფიზიონომისტთა, მახინჯთა და სხვათა გამოსვლები“.[15] ცხადია, ამას კინოცენზურას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. ეს წმინდა წყლის რეგულაციური ხასიათის დებულებაა, რომელიც სეანსის ჩატარების წესს აზუსტებს.

ოქტომბრის რევოლუციის მესამე დღეს, 1917 წლის 17 ოქტომბრიდან (ახ. სტილით 9 ნოემბერი) ძალაში შევიდა ლენინის მიერ გამოცემული პირველი დეკრეტი „ბეჭდური სიტყვის“[16] აკრძალვის შესახებ. რადგან ეს დადგენილება ზოგად ღონისძიებებს გულისხმობდა, ცენზურის მთლიანი სტრატეგიის შემუშავებას ვერ უზრუნველყოფდა. ამით აიხსნება საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებში შედარებით ლიბერალური დამოკიდებულება ხელოვნებისა და სხვა დარგებისადმი. ამ დოკუმენტის მიხედვით, დროებით, მხოლოდ სამოქალაქო ომის დასრულებამდე, იზღუდებოდა სიტყვის, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლება. რეალურად, „დროებითი“ კონტროლი თანდათან გამკაცრდა და 70 წელი გაგრძელდა:

- 1918 წელს კერძო კინემატოგრაფიები ადგილობრივ საბჭოებს დაუქვემდებარეს „კინოწარმოების კონტროლის შესახებ“ დადგენილებით.
- 1919 წელს ყველა კინო და ფოტოსტუდია სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა.
- 1922 წელს შეიქმნა „მთავლიტი“ – ლიტერატურისა და გამომცემლობის საკითხებთან დაკავშირებული მთავარი სამმართველო.[17] საჯარო გამოქვეყნების უფლებამოპოვებულ ყველა ნაშრომსა თუ დოკუმენტს „მთავლიტის“ ბეჭედი ახლდა.

BRAMS Journal No. 9 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

- 1923 წელს შეიქმნა „რეპერტკომი“, რომელსაც წარმოდგენებისა და ღონისძიებების რეპერტუარის გაკონტროლება ევალებოდა.
- 1924 წელს შეიქმნა „სახკინო“ ფილმების შინაარსის კონტროლის ფუნქციით.

1926 წელს ალექსანდრე წუწუნავას (1881-1955) „ვინ არის დამნაშავე“ გახდა პირველი ფილმი საქართველოში, რომელსაც ცენზურა შეეხო. ჯერ ნიკოლოზ შენგელაიამ სუსტი რეჟისურისთვის გააკრიტიკა.[18] მერე რეჟისორის დაუკითხავად, მოსკოვის „სახკინმრეწვმა“ ფილმი თავიდან დაამონტაჟა და ასე გაუშვა საბჭოთა ეკრანზე. ცენზურამ სხვა არაერთი ქართული ფილმი აკრძალა:

- ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო“ (1928)
- კონსტანტინე (კოტე) მიქაბერიძის „ბებიაჩემი“ (1929)
- მიხეილ კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთე“, იგივე „მარილი სვანეთს“ (1930)
- ნუცა ღოღობერიძის „უემური“ (1934)
- ოთარ იოსელიანის „აპრილი“ (1961) და სხვ.

საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტია, რომ ყველა სფერო შეზღუდა და დაამახინჯა საბჭოთა ცენზურამ, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობისას იშვიათად იხსენებენ კინოცენზურის „სამშობლოს“ – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იქ შემოღებულ-გატარებულ შეზღუდვით ღონისძიებებს სხვადასხვა ფილმთან დაკავშირებით.[19] პირველობა თომას ედისონის კომპანიას ერგო: 1895 წელს დიქსონ-ჰაისის ფილმთან „სერპანტინის ცეკვა“[20] დაკავშირებით დაფიქსირდა კინოცენზურის პირველი მსოფლიო შემთხვევა. შემდეგ 1896 წელს გადაღებული ფილმი „კოცნა“[21] მიიჩნია ამერიკულმა ცენზურამ საზოგადოებრივი მორალისთვის საფრთხის შემცველად.[22] ორივე ფაქტი მოხდა საქართველოში პირველი კინოსეანსის ჩატარებამდე.

1907 წელს ქალაქ ჩიკაგოში ამოქმედდა პირველი კინოცენზურული კანონი. ამან სათავე დაუდო პრეცედენტულ სამართალს სინემატოგრაფის სფეროში. მომდევნო წლებში მთელი ამერიკის მასშტაბით შეიქმნა მრავალი ადგილობრივი ცენზურის საბჭო. ასეთ საკანონმდებლო სიჭრელეს განსხვავებული წესებისა და სტანდარტების დაწესება მოჰყვა შტატიდან შტატში. მსგავსი ქაოსი დიდხანს ვერ გასტანდა. როდესაც ქალაქ ნიუ-იორკში რამდენიმე კინოთეატრი დაიხურა „უხამსი“ ფილმებით გამოწვეული საზოგადოებრივი უკმაყოფილების გამო, ქმედითი ნაბიჯების გადადგმის საჭიროება დადგა. ამიტომ, 1909 წელს აშშ-ში შეიქმნა ცენზურის ეროვნული საბჭო, რომელიც პროტესტანტულ მრწამსს ეფუძნებოდა.

1915 წელს საქმეზე „თანაზიარი კინოკორპორაცია ოჰაიოს ინდუსტრიული კომიტეტის წინააღმდეგ“[23] აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის პირველი შესწორება[24] არ იცავდა კინოსურათების თავისუფლებასა და უფლებებს. კანონის ასეთმა განმარტებამ სახელმწიფოსა და ადგილობრივ საბჭოებს ცენზურის თავისუფლად განხორციელების საშუალება დაუკანონა შეერთებულ შტატებში.

იმავე წელს დ. უ. გრიფიტის ფილმმა „ერის დაბადება“ (1915),[25] რომელიც ამერიკის სამოქალაქო ომის თემასა და შემდგომ პერიოდს შეეხებოდა, არეულობა გამოიწვია მთელ რიგ შტატებში: ოჰაიოში, მასაჩუსეტსში, პენსილვანიასა და კოლორადოში. საკამათო რასისტული შინაარსის გამო, ესაა აშშ-ის ისტორიაში ყველაზე მკაცრად აკრძალული ფილმი.

უდავოდ, საამაყო ფაქტია, რომ ოკუპირებული, სახელმწიფოებრიობაჩამორთმეული ქვეყნის შვილებმა ტოლი არავის დავუდეთ მსოფლიოში და მრავალჯერაც ვაჯობეთ როგორც კინოხელოვნებაში, ისე სხვა არაერთ

BRAMS Journal No. 9 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

დარგში. ამის დასტურად, 1977 წლიდან კოსმოსში ქართული მრავალხმიანობის შედევრად აღიარებული „ჩაკრულო“ მოგზაურობს,[26] რუსული «Подмосковные вечера»-ს[27] ნაცვლად, რომელსაც საბჭოთა მოსკოვი ყველანაირი საბაბით აძალებდა ამერიკულ მხარეს. ნასასთან ქართველების დაჩაგვრა არ გამოუვიდათ რუსებს. თუმცა, ანიმაციური ფილმისათვის „ჭირი“[28] (1984) კანის კინოფესტივალზე მოპოვებული „ოქროს პალმის რტო“ ქართველ ავტორებს, რეჟისორ დავით თაყაიშვილსა და მხატვარ დავით სიხარულიძეს, თვალით არ უნახავთ და მათი ჯილდო დღემდე მოსკოვშია. სხვა არაერთი ისტორიული უსამართლობა ისეთივე ფაქტია, როგორც ქართველ კინოხელოვანთა მრავალი საერთაშორისო წარმატება. პროგრესული აზროვნება მუდამ იყო ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოს მყარი საფუძველი ჩვენს მრავალსაუკუნოვან სამშობლოში. შედეგად, გვაქვს საამაყო ქართული კინოც, სოლიდური კინოკრიტიკაცა და ცენზურასთან გამკლავების უნიკალური გამოცდილებაც.

ლიტერატურა ▫ References

1. გაზეთ «Тифлисскии листок» ამტკიცებს, რომ პირველი კინოსენასი თბილისში 1897 წლის 3 მაისს გაიმართა («Тифлисскии листок» (3 мая 1897), 102, стр. 1). თუმცა, არანაირი მტკიცებულება არ არსებობს იმისათვის, რომ ეჭვი შევიტანოთ „ცნობის ფურცელის“ ინფორმაციაში (გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (16 ნოემბერი, 1896, 28, გვ. 2).
2. კალანდარიშვილი ლ., ლეკბორაშვილი მ., ლევანიძე მ. (2016). კინოკრიტიკა და თეორია: ფილმის ანალიზის საფუძვლები. წიგნი I, თბილისი: „კენტავრი“., გვ. 60-93.
3. იმედაშვილი ი. (2 იანვარი, 1910). სალამი შენდა, ძვირფასო მკითხველო! ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №1, გვ. 1.

4. ტყებუჩავა დ. (2011). ჟურნალისტიკამცოდნეობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში. მეორე გამოცემა, თბილისი: „უნივერსალი“, გვ. 65-85. [ედიტორიალი, სარედაქციო სტატია (ინგლ. editorial) – საგაზეთო-საჟურნალო სტატია, რომელშიც მოცემულია რედაქტორის ანდა გამოცემის რედაქციის პოზიცია, თვალსაზრისი რაიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ედიტორიალი ასევე ეწოდება ბეჭდური მედიის არასარეკლამო მასალის ერთობლიობას. ედიტორიალის საპირწონედ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ქვეყნდება ოპ-ედი (ინგლ. op-ed > a newspaper page **op**posite the **ed**itorial page) – ანალიტური სტატია, რომელიც უშუალოდ ავტორის თვალსაზრისს გადმოსცემს რაიმე საკითხთან დაკავშირებით და, როგორც წესი, განსხვავდება სარედაქციო პოზიციისგან].
5. იმედაშვილი ი. (1915). ცხოვრება წინ გვიწევს. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №21, გვ. 1.
6. იმედაშვილი ი. (1924). მოლაპარაკე კინო-ფილმა და თეატრის ბედი. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №20, გვ. 6.
7. *The Jazz Singer.* Directed by Alan Crosland, Warner Bros, 1927.
8. რაზმაძე გ. (2018). ქართული კინომცოდნეობა – კრიტიკისა და ცენზურის ურთიერთობის ისტორია (სადისერტაციო ნაშრომი). ხელმძღვანელი – ლელა ოჩიაური, თბილისი: საქართველოს შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. [1926 წელს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ დროებით დახურა საბჭოთა ცენზურამ, რადგან სერგო ორჯონიკიძე უკმაყოფილო დარჩა გაიოზ იმედაშვილის მწვავე კრიტიკული რეცენზიით ნატალია აზიანის პიესის „დეზერტირკა“ შესახებ, რომლის მიხედვით 1925 წელს კოტე მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრში განახორციელა დადგმა. ამ ცნობის ერთადერთი წყაროა იოსების შვილიშვილი და გაიოზის ძმისწული, მწერალი კოტე იმედაშვილი].
9. ტაბიძე გ. (1958). გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერები – დღიური-443 <galaktion.ge/?page=Diaries&year=1958&p=1&id=4753>
10. გრიშაშვილი იოსებ (1987). ფსევდონიმების ლექსიკონი. თბილისი <nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=2&t=9625>
11. რაზმაძე გ. (2018), გვ. 34.
12. იმედაშვილი ი. (ს-ო) (1924). ახალი კინოსურათი. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №19, გვ. 13.
13. იმედაშვილი ი. (1925). ქართული კინო. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №5, გვ. 6.

14. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*. Tbilisi: Publishing House Universal, p. 292.
15. მახარაძე ი. (2014). დიადი მუნჯი: ქართული მუნჯი კინოს ისტორია. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გვ. 23.
16. СНК РСФСР и СССР, СМ РСФСР и СССР, цензурные функции (21 сентября 2019) <opentextnn.ru/censorship/russia-after-1917/laws/snk-rsfsr-i-sssr-sm-rsfsr-i-sssr-cenzurnye-funkcii/1917/?id=455>
17. Горяева, Т. М. (2008). *Политическая цензура в СССР, 1917–1991*. Москва: РОССПЭН.
18. შენგელია ნ. (1926). ვინ არის დამნაშავე. ჟურნ. „დროული“, №3, გვ. 4.
19. Tallmer, A. (2002, November). *As American as Apple Pie: Censorship in the U.S.* Book Catalogue Reviews <rarebookhub.com/reviews/19?id=19>
20. *Annabelle Serpentine Dance*. Directed by William K. L. Dickson and William Heise, Edison Manufacturing Company, 1895. <https://www.youtube.com/watch?v=kwwyw8Tz484>
21. *Kiss*. Directed by Thomas Edison, Edison Manufacturing Company, 1896. <https://www.youtube.com/watch?v=zURTEs8C1lo>
22. Small, A., Small, S. (2000). *Censored: Wielding the Red Pen*. Albert and Shirley Small Special Collection Library.
23. Mutual Film Corporation v. Industrial Commission of Ohio, 236 U.S. 230 (1915), United States Supreme Court case <https://supreme.justia.com/cases/federal/us/236/230/>
24. აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება: „კონგრესის მიერ არ უნდა იქნას მიღებული არცერთი კანონი, რომელიც ოფიციალურად შემოიღებს რომელიმე რელიგიას, ან ხელს შეუშლის მის თავისუფალ აღმსარებლობას; რომელიც შეზღუდავს სიტყვისა ან პრესის თავისუფლებას; ან წაართმევს ხალხს მშვიდობიანი შეკრების უფლებას და უფლებას პეტიციით მიმართოს მთავრობას, რათა მან დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები“ (რატიფიცირებულია 1791 წლის დეკემბერში). Amendment I: “Congress shall make no law respecting an establishment of religion, or prohibiting the free exercise thereof; or abridging the freedom of speech, or of the press; or the right of the people peaceably to assemble, and to petition the Government for a redress of grievances.” (Ratified in December 1791) [იხ.: აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა (1997). სამეცნიერო რედაქტორი – მინდია უგრეხელიძე. თბილისი: „ჯისიაი“].
25. *Birth of a Nation.* Directed by D.W. Griffith, Epoch Producing Corp., 1915.
26. 1977 წელს კოსმოსში გაგზავნილ ოქროს დისკზე ჩაწერილია ნაწყვეტი სიმღერისა „ჩაკრულო“, რომელსაც ასრულებს

ქართული ხალხური სიმღერის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით, სოლისტები არიან როსტომ საგინაშვილი და ილია ზაქაიძე. [იხ.: ილია ზაქაიძე – ჩაკრულოს ისტორია: თუ როგორ მოხვდა კოსმოსში (17 აპრილი, 1998). შეხვედრა დუშეთის მე-2 საჯარო სკოლაში. Uploaded by Jeko Damatslashvili. <https://www.youtube.com/watch?v=sodZ2YbPydg> // ჩაკრულო კოსმოსში (1 ნოემბერი, 2011). TBC Bank Constanta <https://www.youtube.com/watch?v=VgQR07YdQvg> // მეურმიშვილი ია (12 სექტემბერი, 2016). როგორ მოხვდა ჩაკრულო კოსმოსში. „ამერიკის ხმა“. <https://www.amerikiskhma.com/a/chakrulo-in-space/3503798.html> <https://www.youtube.com/watch?v=x16BEjA-NBA> // ვინ ეწინააღმდეგებოდა „ჩაკრულოს“ კოსმოსში გაშვებას – რა უამბო კვირიკაშვილმა პენსს (31 ივლისი, 2017). პირველი არხი Georgian Public Broadcaster. <https://www.youtube.com/watch?v=VnTK2p__kqY> // „ჩაკრულოს“ კოსმოსში გაგზავნიდან 40-წლისთავი აღინიშნა (15 სექტემბერი, 2017). „ამერიკის ხმა“. <https://www.youtube.com/watch?v=L3fnFlznTpY> // Chakrulo (2017, November 22). Shavnabada (ევროპის საბჭოს დარბაზი – მსოფლიო დემოკრატიის ფორუმის გახსნაზე ანსამბლ „შავნაბადას“ მიერ შესრულებული „ჩაკრულო“) <https://www.youtube.com/watch?v=JXtuz-5PTYg> // „ჩაკრულომ“ ვაშინგტონელებს ცრემლი მოჰგვარა (10 ივნისი, 2019). „ამერიკის ხმა“. <https://www.youtube.com/watch?v=TfQN5W2EnnI> // „ჩაკრულო“ კოსმოსში – როსტომ საგინაშვილის გარდაცვალება; „კურიერი“ 21 საათზე 2022.02.15 (20 თებერვალი, 2022). Rustavi2 <https://www.youtube.com/watch?v=o2gIhKUncdY> // „ჩაკრულო“ – სიქსტის კაპელა, ვატიკანი, 26.06.2022 (28 ივნისი, 2022). GeorgiaReality <https://www.youtube.com/watch?v=trO6ZlatYAE>].

27. «*Подмосковные вечера»*. Исполняет Владимир Трошин, 1956. <https://www.youtube.com/watch?v=T99UWQpJynY>
28. „ჭირი“. რეჟისორი – დავით თაყაიშვილი, კინოსტუდია „ქართული ფილმი“, 1984. <https://www.youtube.com/watch?v=pe9UCrt-g7M>

Maia Nadare
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
PhD in Philology (International Journalism),
Founder and Director of BRAMS Institute,
Academician of Criminology at GACS

FORERUNNERS OF GEORGIAN FILM CRITICISM IN THE FACE OF CENSORSHIP AND LAW

(THE AMERICAN AND GEORGIAN REALITY)

KEYWORDS: Cinematography, Criticism, Censorship, Film Law, Film History, Georgia, USA

Georgia has consistently embraced global advancements, significantly influencing its cinematography. At the dawn of cinema, our country fell under the control of its northern neighbour, where strict censorship permeated all aspects of life. Despite this political oversight, Georgian society diligently strove to maintain a strong connection to Western European culture.

Fewer than a year after the Lumière brothers' premiere at the Grand Café on Boulevard des Capucines in Paris on 16 November 1896, Tbilisi's elite viewed their films at the Noblemen Theatre. This event sparked a wave of publications about cinematography in the Georgian press, including briefs, news articles, reviews, and features.

Film studies emerged as a crucial element of early Georgian film criticism, laying the foundation for a successful future in Georgian cinema and establishing a distinguished film school that nurtured world-class directors, screenwriters, actors, and actresses. Despite oppressive Soviet censorship, landmark films

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

were created in Georgia, driven by a quest for originality, creativity, and freedom.

In 1910, writer and playwright Joseph Imedashvili (1876-1952) founded the first professional Georgian magazine, *Theatre and Life*. This periodical stood out for its extensive coverage of cinematography, including the first feature article on cinema, authored by Imedashvili himself. Consequently, the history of Georgian film criticism can be traced back to his article published in 1915.

The magazine offers crucial insights into Georgian silent cinema, providing scholars with invaluable information from the faded pages of Imedashvili's publications and facilitating research into the early developments of Georgian cinema. Drawing on *Theatre and Life*, researchers have successfully restored our cinematic past.

The early pioneers of Georgian film criticism emerged during a pivotal period characterised by the establishment of film censorship in the United States at the end of the 19th century, alongside the increasing repression that followed the annexation of the First Republic of Georgia by Soviet Russia in the 20th century. During a unique era of relative freedom, *Theatre and Life* played a vital role in fostering unrestricted Georgian film criticism. However, this progress was ultimately stifled by the Soviet regime, which imposed stringent censorship and restrictive film laws that dampened the national spirit.

It was not until the 1990s, after Georgia regained its independence, that the free film criticism initiated by Joseph and his son Gaioz Imedashvili could once again flourish after a 70-year hiatus.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)